

## საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭოს განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორად გ. გვიმრაძის დანიშვნის შესახებ

ბოლო დროს, მონიტორინგის საბჭოს მიმართ, ადგილი ჰქონდა საზოგადოების მომართვიანობას საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელად ბატონი გ. გვიმრაძის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საზოგადოებაში, სოციალურ ქსელში, მედიაში გაჩნდა კითხვები ბატონი გ. გვიმრაძის საგარეო-პოლიტიკურ ხედვასთან და ამ ხედვის, ქვეყნის მიერ არჩეულ პროდასავლურ კურსთან შესაბამისობის შესახებ.

ასევე, ნათელი გახდა, რომ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელი ინტენსიურად იჩენდა პოლიტიკურ მიკერძოებულობას, მის მიერ წარსულში გაკეთებული არაერთი განცხადებიდან აშკარაა მისი პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ბატონ გ. გვიმრაძეს არ გააჩნია ჟურნალისტური ან/და მედია-ორგანიზაციაში მუშაობის, მართვის გამოცდილება, რაც ასევე აჩენს დამატებით კითხვებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მონიტორინგის საბჭოს წევრები გამოვთქვამთ შეშფოთებას საზოგადოებრივ მაუწყებელში განხორციელებულ ამ საკადრო ცვლილებასთან დაკავშირებით და მივმართავთ სამეურვეო საბჭოს და მაუწყებლის მენეჯმენტს, რათა შეისწავლონ აღნიშნული საკითხები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირების შესაბამისობას კანონთან და ასევე, ორგანიზაციის პრესტიჟის დაცვას.